სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01/29

ქ. რუსთავი 12 თებერვალი 2021 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის კახა გურულის სახით და მეორე მხრივ, სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზი გრძელიძეს სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის (სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“) სატენდერო წინადადების საფუძველზე, NAT200020681 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშეს ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მხარე“ - „შემსყიდველი“ ან/და „მიმწოდებელი“.

1.7 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სატელევიზიო და რადიო მომსახურების შესყიდვა.(**CPV92200000; 92210000; 92220000**)

2.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღწერა და მოცულობა მოცემულია ხელშეკრულებაზე თანდართულ დანართ №1-ში და სატენდერო დოკუმენტაციაში ატვირთულ „ტექნიკური მოთხოვნები“-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **160 000.00** (ასსამოცი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.

3.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლის“ მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „მიმწოდებლის“ მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის დღიდან.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის ხელმძღვანელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან **სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“**-ს წარმომადგენელი.

5.3 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

„მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების აღწერა.

„მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება.

„მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ჩამონათვალი.

6. მომსახურების გაწევის პერიოდი და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის პერიოდი: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. რუსთავი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

ბ) მომსახურების სრულ და ჯეროვნად გაწევამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

გ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლული მომსახურება.

დ) იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის ამოწურვის შემდგომ არ იქნება დასრულებული მომსახურება, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

Rustavi City Municipality

Digitally signed by Rustavi City Municipality
Date: 2021.02.12 15:52:48 +04'00'

JSC Kvemo Kartli TV-Radio Company

Digitally signed by JSC Kvemo Kartli TV-Radio Company
Date: 2021.02.12 15:46:28 +04'00'

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებლის ვალდებულებები:

ა) შეასრულოს სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულის ხელშეკრულების 6.1 პუნქტში.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

გ) უზრუნველყოს გადაცემის დაანონსება, მის ეთერში გასვლამდე.

დ) უზრუნველყოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით სიუჟეტების დამზადება და განთავსება (მაუწყებლობის კანონის 66 პრიმა მუხლის №2 პუნქტის შესაბამისად) როგორც დღის განმავლობაში მიმდინარე გადაცემებში, ისე საეთერო დროის პრაიმ ტაიმში. ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს როგორც სატელევიზიო, ისე რადიომაუწყებლობის საშუალებით, ასევე მიმწოდებლის ვებ გვერდის, სოციალური ქსელის და მისივე www.youtube.com არხის საშუალებითაც. რადიოეთერის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, სატელევიზიო ეთერით გავრცელებულ ანალოგიურ სიუჟეტთან ერთად, უნდა ჩაითვალოს ეთერში ერთ გაშვებად.

ე) უზრუნველყოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების შესახებ, ინფორმაციის მოსახლეობისთვის მისაწოდებლად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების (მერიის და საკრებულოს) მიწვევა გადაცემაში (პირდაპირი ეთერი ან/და ჩანაწერი) (არანაკლებ 5 (ხუთი) მიწვევა).

ვ) უზრუნველყოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსება მოძრავი სტრიქონის საშუალებით.

ზ) უზრუნველყოს პირდაპირი ჩართვები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებებიდან (არანაკლებ 6 (ექვსი) ლაივი).

თ) უზრუნველყოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ვიდეორგოლების დამზადება და გაშვება. აღნიშნული ვიდეორგოლების არაბრენდირებული (ტელეკომპანიის ლოგოს გარეშე) მიწოდება დამკვეთისთვის, მისი მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, შემდგომი გამოყენების ან გავრცელების მიზნით. (არანაკლებ 10 ვიდეორგოლისა)

ი) უზრუნველყოს ტელეკომპანიის ეთერში, თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ გასულ გადაცემებში თვითმმართველობის თანამშრომლების არაქონებრივი უფლებების (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია ან პირადი ინფორმაციის შემლახავი ცნობა) დაცვა.

კ) ნებისმიერ ინფორმაციაში, რომელსაც მიმწოდებელი გაავრცელებს თვითმმართველობის, ან თვითმმართველობაში დასაქმებული საჯარო მოხელეების საქმიანობის შესახებ, რაიმე ოფიციალურ, ან არაოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით, (როცა აღნიშნული ინფორმაცია პირდაპირ, ან ირიბად ეხება თვითმმართველობის საქმიანობას), გარდა ფორს-მაჟორული სიტუაციისა, გავრცელებულ ინფორმაციასთან ერთად უნდა დაფიქსირდეს მუნიციპალიტეტის (მერია ან საკრებულო) პოზიციაც, რათა საზოგადოებამ მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოს სრულად და არა ცალმხრივად.

ლ) უზრუნველყოს ყოველი მომდევნო თვის მომსახურების დაგეგმვა დამკვეთის მიერ ყოველი თვის ბოლოს გაკეთებული დაკვეთის საფუძველზე. კონკრეტული თვის განმავლობაში ტელეკომპანიის მიერ გასაწევი მომსახურების რაოდენობაში ცვლილებების შეტანა მოხდება დამკვეთის მიერ მიმწოდებლისთვის წერილობითი ფორმით მიმართვის, ან დამკვეთთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, რაც შემდგომ აისახება მიღება-ჩაბარების აქტში.

მ) მოსახლეობის ინტერესების კვლევის მიზნით, წელიწადში არანაკლებ 3-ჯერ უნდა აწარმოოს რუსთავის მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის გამოკითხვა, დამკვეთის მიერ მიწოდებულ თემებზე. გამოკითხვის შედეგების შესახებ, უნდა მოამზადოს სიუჟეტი, ან გადაცემა, რომელიც საეთერო დროის პრაიმ ტაიმში გავა ეთერში, აგრეთვე აღნიშნული სიუჟეტის, ან გადაცემის განთავსება უნდა მოხდეს, როგორც მის არხზე, ასევე www.youtube.com-ზეც. გამოკითხვის ჩატარების პერიოდს და თემას განსაზღვრავს დამკვეთი.

ნ) ტელეკომპანიამ უნდა მოახდინოს ეთერში გასული ვიდეომასალის დაარქივება 1 (ერთი) წლის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს არქივის მიწოდება შემსყიდველისთვის.

ო) საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსება მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს რადიოეთერის საშულებითაც.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატი.

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო - ერთჯერადად, ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **5%**-ის ოდენობით, ხოლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.1%**-ის ოდენობით.

9.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს გარემო პირობების გათვალისწინებით მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც მხარეთა მიერ დამოწმებულია ელექტრონულად კვალიფიციური ხელმოწერით/შტამპით.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი მის: ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი №216433287 სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კ TRESGE22 ა/ა №GE24NB0330100200165022	სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“ მის: ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი №32 საიდენტიფიკაციო კოდი №216335838 ტელ: 577 45 43 00 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ა №GE74TB0200000000700942
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	**სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“-ს დირექტორი**
კახა გურული	*თეიმურაზი გრძელიძე*

ინსპექტირება-პასუხისმგებელი სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი: ოთარ ჩხაიძე

№	მომსახურების დასახელება	შეთავაზებული დრო	რაოდენობა ეთერში	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით (მაუწყებლობის კანონის 66[1] მუხლის №2 პუნქტი) სიუჟეტების დამზადება და გაშვება სატელევიზიო და რადიო ეთერის საშუალებით	ყოველდღიურად, სატელევიზიო და რადიო ეთერის საშუალებით, სიუჟეტების დამზადება-გაშვება საინფორმაციო გამოშვებებში, თითოეული სიუჟეტი არანაკლებ 2 წუთისა	არანაკლებ **800** გაშვება	30.00	24,000.00
2	მიმწოდებლის მიერ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი 10 ვიდეო-რგოლის დამზადება და გაშვება	თითო კლიპის ქრონომეტრაჟი არანაკლებ 60 წმ.	არანაკლებ **3 000** გაშვება	40.00	120,000.00
3	საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსება მოძრავი სტრიქონის საშუალებით	დღეში არანაკლებ 10 გაშვება, არანაკლებ 6 (ექვსი) სიტყვა	არანაკლებ **16 000** სიტყვა	1.00	16,000.00
				სულ ჯამი	**160,000.00**

სს "ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია"
დირექტორი თეიმურაზი გრძელიძე

(ხელმოწერა)

JSC Kvemo Kartli TV-Radio Company

Digitally signed by JSC Kvemo Kartli TV-Radio Company
Date: 2021.01.24 20:32:27 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. რუსთავი **12 თებერვალი 2021 წელი**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მომწერი პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ, 2020 წლის 30 დეკემბრის სატენდერო განცხადების **NAT200020681** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშეს საშუალებით, სატელევიზიო და რადიო მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში **სს „ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია“**-ს (**ს/კ 216335838**) მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერიის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის აპარატის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

ოთარ ჩხაიძე